ტესტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 70.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

I. ქართული ენა

(1) **1. რომელი დებულება არის მცდარი?**

ა) სალიტერატურო ენის ნორმით დადგენილი ფორმა დაუშვებელია ეწინააღმდეგებოდეს ენის განვითარების ტენდენციებს.

ბ) სალიტერატურო ენის ნორმით დადგენილი ფორმა სწორი უნდა იყოს თანამედროვე გრამატიკული სისტემის მიხედვით.

გ) სალიტერატურო ენის ნორმის დადგენისას გათვალისწინებული უნდა იყოს ენის ისტორიული ცვალებადობა.

დ) სალიტერატურო ენის ნორმის დადგენისას დაუშვებელია ერთდროულად ორი პარალელური ფორმის დატოვება.

(1) **2. რომელი სტილისტიკური ხარვეზის ნიმუშია შესიტყვებები:** ***მკვიდრი აბორიგენი, პირველი პიონერი, თავისი ავტოპორტრეტი?***

ა) ატროფია.

ბ) კალკირება.

გ) პარონიმია.

დ) ტავტოლოგია.

(1) **3. საიდან მომდინარეობს გამოთქმა** – *ურწმუნო თომა*?

ა) ახალი აღთქმიდან.
ბ) ბერძნული მითოლოგიიდან.
გ) ქართული მითოლოგიიდან.
დ) ძველი აღთქმიდან.

(1) **4. რომელ წინადადებაში გვხვდება სტილისტიკური ხარვეზი?**

ა) გიორგიმ თავის მეგობრებს საუკეთესო სტუმართმოყვარეობა გაუწია.
ბ) ამ საქციელით ნუცას ჩემდაუნებურად დათვური სამსახური გავუწიე.
გ) ჩვენმა ჯგუფმა უცხოელ სტუმრებს კარგი მასპინძლობა გაუწია.
დ) ციხეში გამაგრებულმა მეომრებმა მტერს დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს.

(1) **5. რომელ წინადადებაშია შეცდომა?**

ა) ალიანსს საერთო ინტერესების მქონე სახელმწიფოები ქმნიან.
ბ) ბიბლიოთეკაში ამ ჟურნალის ერთადერთი ეგზემპლიარი გვაქვს.
გ) პლაჟზე მოგროვებული ნიჟარებით ელენემ გრძელი მძივი ააწყო.
დ) ფეხბურთის მატჩის ტრანსლაცია ღამის თერთმეტ საათზე დაიწყება.

(1) **6. რომელ წინადადებაშია შეცდომა?**

ა) აივანზე გასული ბავშვები აღელვებულ ზღვას გასცქეროდნენ.
ბ) გოგონები იატაკზე დაღვრილ სითხეს საჩქაროდ სწმენდდნენ.
გ) მოსწავლეებმა მწერალს მათთან ერთად ფოტოს გადაღება სთხოვეს.
დ) ფესტივალის სტუმრებს სხვადასხვა სახეობის ღვინო შესთავაზეს.

(1) **7. რომელ წინადადებაშია შეცდომა?**

ა) ბავშვები ყანაში გასულიყვნენ და სიმინდის ტაროებს ტეხდნენ.
ბ) დაბნეული ბავშვი ვერ წყვეტდა, დაბრუნებულიყო სახლში თუ არა.
გ) მინდორში გაშვებული ცხენი ქორფა ბალახს ხარბად გლიჯავდა.
დ) ქვეყანა გაპარტახებული იყო და დამპყრობელთა უღელქვეშ გმინავდა.

(1) **8. რომელ წინადადებაშია შეცდომა?**

ა) ამ ომში ორივე მხარე თავგანწირულად იბრძოდა.
ბ) ახალგაზრდა ცოლ-ქმარს სირთულეები არ აშინებდათ.
გ) გაზაფხულზე პატარ-პატარა მდინარეებიც კი ადიდდა.
დ) ჩვენი სკოლის ბიჭებს ახალი მოსწავლე არ მოსწონდათ.

(1) **9. რომელ წინადადებაშია შეცდომა?**

ა) ანა აჭარის სოფლებში ხშირად დადიოდა, რათა ადგილობრივი ცეკვები შეესწავლა.
ბ) ახალი სამსახურით კმაყოფილი ვარ, რადგან ძალიან კარგი თანამშრომლები მყავს.
გ) მინდოდა ამ ადგილების ფოტო გადამეღო, რათა ოჯახის წევრებისათვის მეჩვენებინა.
დ) შენობა გადაუდებელ რესტავრაციას საჭიროებს, რადგან კიდევ უფრო არ დაზიანდეს.

(1) **10. რომელ წინადადებაშია შეცდომა?**

ა) ამ სოფელში მხოლოდ რამდენიმე სახლი იყო, რომელთა ფანჯრებიდანაც სინათლე გამოდიოდა.

ბ) ბიჭს დიდი იმედი ჰქონდა თავისი ძაღლებისა, რომლებიც მგელსაც კი არ შეუშინდებოდნენ.

გ) მდინარეზე პატარა ხიდი იყო გადებული, რომელზე გასვლაც ბავშვებისათვის სახიფათო იყო.

დ) ნიკო პაპასთან წავიდა და წაიყვანა თავისი ორი მეგობარი, რომელსაც თუშეთი ძალიან უყვარდა.

(1) **11. რომელ წინადადებაში *<u>არ არის</u>* სწორად დასმული სასვენი ნიშანი?**

ა) კოლიბრებს, ყველაზე პატარებს ფრინველთა შორის, სხვა ჩიტებზე დიდი ტვინი აქვთ.
ბ) საქართველოში, სამი წლის განმავლობაში, ტყის ცხოველების აღწერა ტარდებოდა.
გ) მოლაღურის დანახვა, მიუხედავად მისი კაშკაშა შეფერილობისა, მეტისმეტად ძნელია.
დ) ულამაზესი კავკასიური შურთხი, როგორც წესი, მიუვალ კლდეებში ბინადრობს.

(12) **12. წაიკითხეთ ნაწყვეტი ლევან ბრეგაძის ინტერვიუდან:**

დღევანდელმა ახალგაზრდებმა მშობლიური ენა ცუდად იციან – მწირია მათი სიტყვათა მარაგი, ერთფეროვანია სტილისტიკა, რის შედეგადაც მათ მეტყველებას გამომსახველობა აკლია. ჩემი აზრით, ამის ბრალი ის არის, რომ ცოტას კითხულობენ კლასიკას; საერთოდ, ცოტას ფიქრობენ ენაზე, რომელიც ჩვენი უმთავრესი იარაღია როგორც სამყაროს შეცნობის, ისე ცხოვრებაში თავის დამკვიდრების გზაზე. ვინც სწორად მეტყველებს, ის უფრო ხშირად აღწევს დასახულ მიზნებს. ერთი ამერიკული წიგნის ყდაზე ასეთი რეკლამა წავიკითხე: „თქვენი უფროსი იმიტომ არის თქვენი უფროსი, რომ მას თქვენზე მდიდარი სიტყვის მარაგი აქვს“, – ის წიგნი სიტყვის მარაგის გასაფართოებელი სავარჯიშოების კრებულია. ასე რომ, საჭიროა კარგი წიგნების კითხვა, რათა სწორი გამოთქმები და კონსტრუქციები გონებაში ჩაიბეჭდოს.

(2) **I.** ჩამოაყალიბეთ, რა არის ამ ტექსტის მთავარი სათქმელი.

(3) **II.** იმსჯელეთ, რამდენად აქტუალურია ეს საკითხი დღეს.

(2) **III.** ჩამოაყალიბეთ თითო არგუმენტი ლევან ბრეგაძის თვალსაზრისის როგორც გასამყარებლად, ისე უარსაყოფად.

(3) **IV.** იმსჯელეთ, რომელი არგუმენტია თქვენთვის უფრო მისაღები და რატომ.

გაითვალისწინეთ: ეს დავალება სწორდება ენობრივი თვალსაზრისითაც. ამ კომპონენტის მაქსიმალური შეფასებაა 2 ქულა.

(12) **13. ყურადღებით გაეცანით მოსწავლის ნამუშევარს და შეფასების სქემას.**

მოსწავლისათვის შეთავაზებული დავალება:

ცნობილი ადამიანების ცხოვრებას ხშირად ხალხი საკუთარი ფანტაზიით ამდიდრებს.
მოსწავლის ნამუშევარი:

ცნობილი ადამიანების ცხოვრებას ხალხი უმეტესად თავიანთი ფანტაზიით ამდიდრებს. ამის გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს არასწორი ინფორმაციის გავრცელება, რასაც შეიძლება მოყვეს ხალხის მიერ ცნობილი ადამიანების გაფეტიშება ან პირიქით დაკნინება. საზოგადოების ცნობისმოყვარე ნაწილს, რომელსაც დეტალურად აინტერესებს ყველაფერი ამათუიმ ინდივიდის შესახებ, ყოველთვის ცდილობს, თავისი ფანტაზიით განავრცოს ამ ინდივიდის ცხოვრება.

იცვლება დრო, იცვლებიან ადამიანები, ეცვლებათ შეხედულებები, მაგრამ ეს პრობლემა დღესაც 21 საუკუნეში არ კარგავს აქტუალობას. დღეს საზოგადოება უამრავი ცნობილი ადამიანების ცხოვრებაში ცდილობს ჩარევას და ამას სხვადასხვა გზით ანხორციელებს. ყველას მოგვეხსენება თუ რამდენი ადამიანი იყენებს სოციალურ ქსელებს და აქტიურად ადევნებს თვალს სხვების ცხოვრებას. ჩემი აზრით, სოციალურ ქსელების არსებობამ დღეს უფრო მწვავედ დააყენა ეს პრობლემა. ადამიანები უფრო მარტივად ახდენენ სხვის ცხოვრებაში ჩარევას. ისინი ცნობილი ადამიანების შესახებ თავიანთ აზრებს სხვებსაც უზიარებენ და ასე უვრცელებენ მათ ცრუ ინფორმაციას. ხშირად მედიაც უშვებს შეცდომას და ცნობილი ინდივიდის შესახებ არასწორ ინფორმაციას გვაწვდის. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად საჭიროა ვინმეს საჯაროდ მხილება და ლანძღვა არ მოვიწონოთ, არ გავავრცელოთ შეუმოწმებელი ფაქტები და ერთმანეთს გავუფრთხილდეთ.

შეფასების სქემა

N	კრიტერიუმები	კრიტერიუმების განმარტება	ქულები
I	მსჯელობის დასაბუთე-ბა (არგუმენტირება და ციტირება)	ა) მსჯელობა მკაფიოა, არგუმენტირებულია, არგუმენტები გამყარებულია შესაბამისი მაგალითებით; ბ) მსჯელობა ნაწილობრივ არგუმენტირებულია, არ არის გამყარებული შესაბამისი მაგალითებით ან დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომა; გ) ტექსტი არაადეკვატურადაა გაგებული, მსჯელობა არადამაჯერებელია, მაგალი-თებიც არაადეკვატურად არის მოხმობილი.	2 1 0
II	ლექსიკა და სტილი	ა) აზრი ზუსტად და მკაფიოდ არის გამოხატული, ნაწერის სტილი გამართულია; ბ) აზრი ზუსტად არის გამოხატული, მაგრამ ლექსიკა მწირია ან გვხვდება სტილისტი-კური ხარვეზები; გ) აზრი ძირითადად გასაგებია, მაგრამ ნაწერის სტილი გაუმართავია, გვხვდება არაადეკვატური ლექსიკა.	2 1 0
III	ორთოგრაფია, მორფოლოგია, სინტაქსი და პუნქტუაცია	ა) არ არის ამ ტიპის სამზე მეტი შეცდომა; ბ) არ არის ამ ტიპის ექვსზე მეტი შეცდომა; გ) ამ ტიპის შეცდომა ექვსზე მეტია.	2 1 0

შეაფასეთ მოსწავლის ნამუშევარი შემოთავაზებული სქემის მიხედვით და დაურთეთ კომენტარები, კერძოდ:

(2) **I.** შეაფასეთ მოსწავლის ნამუშევარი I კრიტერიუმის მიხედვით, თქვენი შეფასება დაასაბუთეთ და მოიხმეთ სათანადო მაგალითები თხზულებიდან;

(2) **II.** შეაფასეთ II კრიტერიუმის მიხედვით, თქვენი შეფასება დაასაბუთეთ და მოიხმეთ სათანადო მაგალითები თხზულებიდან;

(3) **III.** შეაფასეთ III კრიტერიუმის მიხედვით, ამოიწერეთ თხზულებაში დაშვებული ყველა შეცდომა (მხოლოდ მცდარი ფორმები და შესიტყვებები);

(3) **IV.** თქვენ მიერ ამოწერილ თითოეულ შეცდომას მიუწერეთ, რა ტიპს მიეკუთვნება – ორთოგრაფიულს, მორფოლოგიურსა თუ სინტაქსურს;

(2) **V.** ჩამოაყალიბეთ სათანადო რჩევები, რომელთა გათვალისწინებაც დაეხმარება მოსწავლეს ანალოგიური დავალების უკეთ შესრულებაში.

II. ქართული ლიტერატურა

(1) **14. იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებაში“ დედოფალი შუშანიკი მოხსენიებულია როგორც *„ძალი ქრისტესი“*. როგორი ადამიანი მოიაზრება ამ სიტყვებში?**

ა) რომელიც ამქვეყნიურ ცხოვრებას უარყოფს.

ბ) რომელიც სულიერ სრულყოფილებას ეძიებს.

გ) რომელიც ქრისტიანული წესით ქორწინდება.

დ) რომელიც ქრისტიანულ მოძღვრებას ავრცელებს.

(1) **15. რა გამოარჩევს იოვანე საბანისძის „აბოს წამებას“ სხვა ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებებისაგან?**

ა) ამაღლებული სტილი და პატრიოტული პათოსი.
ბ) რთული კომპოზიცია და არქაიზებული ლექსიკა.
გ) საერო და სასულიერო პირთა ურთიერთობის საკითხი.
დ) საღვთო მიჯნურობის თემა და სატრფიალო ეპიზოდები.

(1) **16. რა იდეას ავითარებს გიორგი მერჩულე, როცა აშოტ კურაპალატის გარდაცვალების შემდგომ მისი შვილების ისტორიას აღწერს?**

ა) ეკლესიის დამოუკიდებლობას საერო და სასულიერო პირთა ერთიანობა განსაზღვრავს.
ბ) ერთიანობის შემთხვევაში ფეოდალებს სასულიერო პირებზე გავლენის მოხდენა შეუძლიათ.
გ) სახელმწიფოს ძლიერებას უმთავრესად შინა ძალების კონსოლიდაცია განაპირობებს.
დ) ქვეყნის დაცვისა და განვითარების მისია მხოლოდ უმაღლეს სასულიერო პირებს აკისრიათ.

(1) **17. ჩვენამდე მოღწეული რომელი კრებულია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ქართული ჰიმნოგრაფიის გასაცნობად?**

ა) გრიგოლ ხანძთელის „იადგარი“.

ბ) იოანე დამასკელის საგალობლები.

გ) იოანე მინჩხის საგალობლები.

დ) მიქაელ მოდრეკილის „იადგარი“.

(1) **18. შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლის დროს მოსწავლემ იკითხა:** *რა არის ის, რაც ვაჭართა სამყაროს რაინდთა სამყაროსთან აკავშირებს?*

რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

ა) აღებ-მიცემობისა და ქონების შეძენის გამორჩეული უნარი.

ბ) მორალური პასუხისმგებლობის განსაკუთრებული გრძნობა.

გ) რაინდული ღირებულებების დამკვიდრებისაკენ სწრაფვა.

დ) სიკეთის კეთებისა და ბედნიერებისაკენ სწრაფვის სურვილი.

(1) **19. განუმარტეთ მოსწავლეებს, რის მომასწავებლად მიიჩნევა პლანეტების „შეხვედრა“ „ვეფხისტყაოსნის“ ფრაზაში:**
„ამას ჰგვანდეს, ოდეს ერთგან მუშთარ, ზუალ შეიყარნეს“?

ა) აურაცხელი სიმდიდრის.
ბ) საშინელი უბედურების.
გ) უდიდესი ბედნიერების.
დ) უკიდურესი სიღატაკის.

(1) **20. სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისას“ შესწავლის შემდეგ მოსწავლემ გამოთქვა მოსაზრება, რომ ლეონის თავგადასავალი გარკვეულწილად ავტორის ცხოვრების ანარეკლია.**

მწერლის ბიოგრაფიის რომელ ეპიზოდს გულისხმობდა მოსწავლე?

ა) განსხვავებული აღზრდის მეთოდების გამო სულხან-საბასაც უსიამოვნებები შეხვდა.
ბ) სამეფო კარზე საქმიანობის წინაპირობად სულხან-საბამაც ხელწერილი მოითხოვა.
გ) სულხან-საბამაც არაფერი იცოდა თავისი მშობლებისა და წარმომავლობის შესახებ.
დ) სულხან-საბაც მეფის სასახლეში უფლისწულის აღზრდის პროცესს წარმართავდა.

(1) **21. რა გახდა საფუძველი იმისა, რომ XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში სხვა ლიტერატურულ მიმდინარეობებთან შედარებით რომანტიზმმა უფრო მოიკიდა ფეხი?**

ა) რომანტიზმის გავრცელება ქართული და ევროპული ლიტერატურების მჭიდრო ურთიერთკავშირმა განაპირობა.

ბ) რომანტიკული განწყობილებების გააქტიურების საფუძველი ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვა გახდა.

გ) რომანტიკული განწყობილებების მასაზრდოებლად შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ სულისკვეთება იქცა.

დ) ქართული რომანტიზმის ჩასახვა-განვითარება დავით გურამიშვილის შემოქმედების პოპულარობამ განსაზღვრა.

(1) **22. გიორგი ერისთავის შესახებ ილია ჭავჭავაძე წერდა, რომ მას** *„ორი დიდი სამსახური მიუძღვის ჩვენს წინაშე...“.*

ცნობილი ქართველი მწერლის რა დამსახურებებს გულისხმობდა ილია?

ა) 1932 წლის შეთქმულებაში მონაწილეობასა და კავკასიაში ბრძოლას.
ბ) დიპლომატიურ მოღვაწეობასა და უცხოური ლიტერატურის თარგმნას.
გ) პირველი ქართული კომედიების შექმნასა და საბანკო საქმიანობას.
დ) ჟურნალ „ცისკრის“ გამოცემასა და ქართული თეატრის დაარსებას.

(1) **23. რა გამოარჩევს ილია ჭავჭავაძის ლირიკას რომანტიკოსთა პოეზიისაგან?**

ა) პიროვნული თვითჩაღრმავებისაკენ სწრაფვა.
ბ) სამოქალაქო პრობლემებით დაინტერესება.
გ) სოციალური საკითხების უგულებელყოფა.
დ) ფილოსოფიური პრობლემატიკით გატაცება.

(1) **24. აკაკი წერეთლის „გამზრდელის“ სწავლების დროს რომელ ფრაგმენტს მოიხმობთ იმის დასასაბუთებლად, რომ, ყველაფრის მიუხედავად, სათანადო აღზრდა ადამიანის ზნეობაზე გარკვეულ გავლენას ახდენს?**

ა) როცა ბათუ თავისი ძუძუმტის მიუტევებელი ცოდვის დავიწყებას ახერხებს.
ბ) როცა ბათუ ხალხთან ერთად ცხოვრებას განმარტოებით ყოფნას ამჯობინებს.
გ) როცა საფარ-ბეგი თავის გამზრდელთან წასვლის გადაწყვეტილებას იღებს.
დ) როცა საფარ-ბეგი ცხენის მოპარვაში დახმარებას უღირს საქმედ მიიჩნევს.

(1) **25. რა არის ალექსანდრე ყაზბეგის „ელგუჯას“ მთავარი თემა?**

ა) კავკასიის მთიელთა რელიგიური დაპირისპირების ჩვენება.
ბ) მთის ხალხის ახალ პოლიტიკურ რეალობასთან შერიგება.
გ) მოხევეთა ყოფა-ცხოვრებისა და წეს-ჩვეულებების აღწერა.
დ) პიროვნული და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა.

(1) **26. ვაჟა-ფშაველას პოემა „სტუმარ-მასპინძლის“ შესწავლის დროს მოსწავლემ იკითხა:** *„ჯოყოლას თავგამოდება სტუმრის გადასარჩენად მხოლოდ ადათის დაცვას ემყარება თუ სხვა ფაქტორებითაც არის განპირობებული?“*

რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

ა) სტუმარმასპინძლობის წესის დაცვა მაშინაც კი აუცილებელია, თუ ოჯახში შემოსული სტუმარი ზვიადაურივით უღირსად იქცევა. ამიტომაა, რომ ჯოყოლა მის გადასარჩენად ბოლომდე იბრძვის.

ბ) სტუმარმასპინძლობის წესის დაცვა ყველა შემთხვევაში სავალდებულოა. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ მასპინძელი სტუმრით იმდენად მოიხიბლა, მასთან ძმადნაფიცობასაც კი აპირებდა.

გ) სტუმარმასპინძლობის წესის დაცვა საჭირო აღარ არის, თუ სტუმარი მოსისხლე აღმოჩნდება. ჯოყოლა მხოლოდ იმიტომ ცდილობს მტრის გადარჩენას, რომ შემდეგ ანგარიში თავად გაუსწოროს.

დ) სტუმარმასპინძლობის წესის დაცვა საჭირო აღარ არის, თუ სტუმარს სოფელი მტრად მიიჩნევს. მასპინძელს მხოლოდ ის აწუხებს, რომ სტუმარმა იარაღი მას ანდო და თავის დაცვა აღარ შეუძლია.

(1) **27. ლეო ქიაჩელის „ჰაკი აძბას“ სწავლების დროს რომელი ეპიზოდი გამოგადგებათ იმის საილუსტრაციოდ, რომ თვითგადარჩენის ინსტინქტი ადამიანის სასტიკ და დაუნდობელ ბუნებას ამჟღავნებს?**

ა) კილგას გადაწყვეტილებით აფხაზთა დელეგაციის წევრის მძევლად აყვანა.

ბ) კრეისერის მეზღვაურებთან შესახვედრად ქალაქის მოსახლეობის მზადება.

გ) რაჟდენ თორიას მოწოდების შემდეგ უჯუშ ემხას სახლის ალყაში მოქცევა.

დ) ჰაკი აძბას მიერ კრეისერის მეზღვაურის მკვლელობის საკუთარ თავზე აღება.

(1) **28. რას გულისხმობს ტიციან ტაბიძე სიტყვებში:**

„გაფიზის ვარდი მე პრუდომის ჩავდე ვაზაში,
ბესიკის ბაღში ვრგავ ბოდლერის ბოროტ ყვავილებს“?

ა) აღმოსავლური პოეზიის უპირატესობას ქართულ და დასავლურ მწერლობაზე.
ბ) დასავლური და აღმოსავლური ესთეტიკის შერწყმას ქართულ კულტურასთან.
გ) დასავლური ესთეტიკის გავლენას ქართულ და აღმოსავლურ კულტურებზე.
დ) ქართული ლექსის გათავისუფლებას აღმოსავლური პოეზიის გავლენებისაგან.

III. მხატვრული ტექსტის ანალიზი (20 ქულა)

ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტები გიორგი ლეონიძის მოთხრობიდან „ხვედია“:

ბორგი, უსმინარი, აღმართი-კაცი იყო ხვედია. ვის არ ახსოვს ჩვენს სოფელში, უკეთური, გულღორღიანი, ღვარძლა, ჭინჭყლიანი, ენიდან შხამის მდენელი!

შესახედავადაც ძნელი იყო: დამშხალული, შეკვამლული, ჩაღრუბლული, თანაც წყალდასხმულ-ნაცრისფერი...

– რაო, დაგებეჟა ენის ხორცი განა? – მრისხანედ შეუძახებდა ხვედია ცოლს, თუ ორ სიტყვას გადააცდენდა საწყალი დედაკაცი.

– ღვიძლი ჩამილპო ამ კაცის გულგამომხრავმა სიტყვებმა! თოკივით წამიჭერს ხოლმე ყელში! როგორც კალთაზე ნაკვერცხალი დაგეცეს და მაშინვე არ გადააგდე, თორემ დაიწვები, ისე ჩემი ქმრის სიტყვებია, – ჩიოდა უბანში ნინორე.

არავინ უყვარდა ხვედიას. მით უმეტეს ჩიტები! სძულდა ნიბლია-ბეღურები. არც მათთვის იშურებდა გულის დამბოლავ სიტყვებს.

– რა ამბავი გაქვთ, სხვაგან ალაგი ვერ მონახეთ? – დილაობით შესძახებდა თავის ვენახში მოჟღივილე ჩიტებს და გაბეზრებული, გაშმაგებული მოჰგლეჯდა სარს, შესტყორცნიდა ჩიტებით დახუნძლულ ხეს და გარეკავდა ისე, რომ წამში ის არემარე უდაბნოსავით დამუნჯდებოდა.

ჩიტებზე მეტად ბავშვები სძულდა. როცა დედაჩემს რძე გაუშრა და მე უძუძურად დავრჩი ცოტა ხანს, მაშინ ხვედიას ცოლი ნინორე მაწოვებდა ძუძუს, ხვედიას შიშით, ფარულად.

როცა ხვედია შინ იყო ხოლმე, მე უწოვნელად მისტუმრებდნენ...

ხვედია ღამურა კაცი იყო; როცა ღამე გაიწონებოდა, მაშინ ადგებოდა, შემოივლიდა თავის პატარა კარ-მიდამოს, ეზო-ბოსტანს, კალოს, ვენახს, სადაც იგი თვითმპყრობელადა გრძნობდა თავს.

– ეს ჩემია! – თან დაარტყამდა ფეხით მიწას, ჩაჰბღუოდა: ჩემი მამულია! ჩემი საკუთარია! – და მკერდით ზედ გადაეფარებოდა.

ხან უსაფრდებოდა უხილავს მტერსა თუ ქურდს, რომელიც, მისი წარმოდგენით, უთუოდ იქვე ბუჩქებთან თუ ღობესთან იყო მიმალული, მისი საკუთრების წასართმევად.

ხვედია მზად იყო გამვლელ მგზავრისთვისაც კი ჩხუბი აეტეხა, იმდენად ეჭვიანი მესაკუთრე იყო! სწყინდა, ბრაზობდა, თუ სხვა ვინმე გაივლიდა მის მიწაზე. მოსვენება არ იყო მისი გაუთავებელი ჩხუბისა და კივილისაგან.

– ერთი ხელის დადება მიჯნა გადაგიწევია, შე ქრისტეს ფეხის მომჭმელო! – შეუყვირებდა უდანაშაულო მეზობელს და დატრიალდებოდა კეტი, კომბალი, მარგილი, ცელი თუ ცული! მისი ბოროტებისა და ყაყანისაგან მოსვენება არ იყო.

– რატომ არ დაწყნარდები, შე საბრალოდ აშენებულო, შე შავმუჭა მიწავ, შავო მტვერო! – შესძახებდა მოთმინებიდან გამოსული ღვთისნიერი ნინორე, ოდესღაც ფერწითური, შოლტივით ქალი, ლაღი, მხიარული, ახლა კი, ხვედიას ხელში ელდით ჩამომდნარი, მოხრილი, ჩამუმლული...

ხარბმა ხვედიამ სიკვდილიც კი ადრე მიისაკუთრა. საკვირველი იყო, ცოლი დასტიროდა ქმარს და თან გულში შვებას გრძნობდა! რა დასამალია, ცოლმაც ამოისუნთქა, უბანმაც და მთელმა სოფელმა, – მოვისვენეთო!

ნინორე დასტიროდა: – აჰა, ეგეც შენი მიწა – სამი ადლი მიწა! სულ მაგას ნატრულობდი, რათ გინდოდა, შე უბედურო, რომ ყარყაში არ მოგწყინდა მაგ შავი მიწისთვის!

ხვედია კი იწვა გულზე ხელდაკრეფილი, თითქოს დიდად კმაყოფილი, რომ ახლა საკუთარი მიწა დაეყრებოდა გულ-მკერდზე... თითქოს ბედნიერებისათვის მიეგნო და მზად იყო ორივე ხელით ჩაებღუჯა ის სამი ადლი მიწა, რომელიც ახლა საკუთრებად ერგო და მის სამუდამო მფლობელობაში გადადიოდა. მაგრამ სახის შენაცრულ ფერზე მაინც ეტყობოდა, რომ ჯერ კიდევ ეშინოდა და ფრთხილობდა, ვინმე უხილავი არ შემეცილოსო! ალბათ ჯერ კიდევ არ ჰქონდა გუნება დამყუდროებული.

ჩიტები კი მღეროდნენ, ჟღიოდნენ... ცა იყო ლურჯი... ლურჯი...

იმსჯელეთ, რა არის ავტორის მთავარი სათქმელი და რა მხატვრული საშუალებებითაა იგი გადმოცემული.

გაითვალისწინეთ: ნაშრომი, რომელიც 100 სიტყვაზე ნაკლები იქნება, არ გასწორდება!